04 გარემოსდაცვითი პროცედურული უფლებები

გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა

რა არის გარემოსდაცვითი ინფორმაცია?

- ინფორმაცია ჰაერის, წყლის, ნიადაგის, გარემოს სხვა ელემენტების მდგომარეობის შესახებ;
- ინფორმაცია იმ ფაქტორების (ენერგია, ხმაური, რადიაცია, ნარჩენები), ქმედებების ან ზომების შესახებ, რომლებიც გავლენას ახდენს ჰაერის, წყლის, ნიადაგისა და სხვა ელემენტების მდგომარეობაზე;
- ინფორმაცია ადამიანის ჯანმრთელობის, უსაფრთხოების, ცხოვრების პირობების შესახებ;
- ინფორმაცია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებისა და შენობების შესახებ იმ შემთხვევაში, როდესაც გარემოს ელემენტების მდგომარეობამ, კონკრეტულმა ფაქტორებმა, სხვადასხვა საქმიანობამ თუ გატარებულმა ღონისძიებებმა (პოლიტიკა, კანონმდებლობა, გეგმა, პროგრამა) შესაძლოა გავლენა იქონიოს მათზე;
- ყველა სხვა დაკავშირებული ინფორმაცია.

რომელი დაწესებულებები არიან ვალდებულნი, გასცენ მოთხოვნილი ინფორმაცია?

ადმინისტრაციული ორგანო

სახელმწიფო ან მუნიციპალური ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირი



კერძო პირი, რომელიც თავისი არსით საჯარო მნიშვნელობის ფუნქციას ასრულებს (მაგ., წყალმომარაგების კომპანია).

რა შემთხვევაშია დასაშვები ინფორმაციის გაცემაზე უარი ?

უარის თქმა დასაშვებია, თუ ის მიეკუთვნება სახელმწიფო, კომერციულ ან პროფესიულ საიდუმლოებას, ან პერსონალურ მონაცემებს. ინფორმაცია უნდა გაიცეს იმ შემთხვევაში, თუ მისი გამოცალკევება შესაძლებელია ზემოთ განსაზღვრული ინფორმაციის შემცველი ნაწილისგან.

დაუშვებელია გარემოს მდგომარეობისა და იმ საშიშროების შესახებ ინფორმაციის გასაიდუმლოება, რომელიც შესაძლოა ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას ემუქრებოდეს.

წინამდებარე ცხრილში წარმოდგენილია გარემოსდაცვით ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობისთვის ორჰუსის კონვენციით განსაზღვრული სტანდარტები და ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რამდენად შეესაბამება მათ საქართველოს კანონმდებლობა.

საკითხი	ორჰუსის კონვენცია	საქართველო	შესაბამი-სობა	პრაქტიკული გამოწვევა
გარემოსდაცვითი ინფორმაცია	ფართო განმარტება	ფართო განმარტება	+	პრაქტიკაში შესაძლოა არასწორად მოხდეს ნორმის განმარტება და საჯარო უწყებამ კონკრეტული ინფორმაცია საჯარო გარემოსდაცვით ინფორმაციად არ მიიჩნიოს.
მოთხოვნის საფუძველი	დასაბუთება არ არის საჭირო	დასაბუთება არ არის საჭირო	+	
ინფორმაციის გაცემის გონივრული ვადა	1 თვე	დაუყოვნებლივ ან 10 დღეში, თუ ინფორმაციის დასამუშავებლად ან შესაგროვებლად საჭიროა დამატებითი დრო	+	პრაქტიკაში შესაძლოა, ადგილი ქონდეს ვადის გადაცილებას, პასუხის ან ინფორმაციის გაუცემლობას.
ინფორმაციის ღირებულება	დაბალი გადასახადი ან უფასო	გადასახადი დაწესებული არ არის, თუმცა მცირე საფასურის გადახდა არის საჭირო ასლის გადაღებისთვის	+	თუ დიდი რაოდენობის ინფორმაცია ფიზიკურად არის მოთხოვნილი, ასლის გადაღების ხარჯმა შესაძლოა დიდი თანხა შეადგინოს.
ინფორმაციის გაცემაზე უარი	შეზღუდული საფუძვლები	სახელმწიფო საიდუმლოება, კომერციული საიდუმლოება, პროფესიული საიდუმლოება, პერსონალური მონაცემები	+	ნორმის არასწორი ინტერპრეტაციის საფუძველზე საჯარო უწყებებმა შესაძლოა არ გასცენ ისეთი ინფორმაცია, რომელიც თავისი არსით საჯარო უნდა იყოს.
ინფორმაციის გამოქვეყნება	პროაქტიული გამოქვეყნების ვალდებულება	პროაქტიული გამოქვეყნების ვალდებულება	+	შესაძლოა, ინფორმაციას ყველა უწყება პროაქტიულად არ აქვეყნებდეს.
დაუყოვნებლივ ინფორმირება	საფრთხის არსებობის შემთხვევაში	საფრთხის არსებობის შემთხვევაში	+	სამოქალაქო უსაფრთხოების კანონის აღსრულება ბუნებრივი კატასტროფების ან სამრეწველო ავარიების დროს შესაძლოა არ იყოს ეფექტიანი.

პუბლიკაცია შექმნილია გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და გერმანიის მთავრობის მხარდაჭერით. მასში გამოთქმული მოსაზრებები ავტორისეულია და შესაძლოა, არ ასახავდეს UNDP-სა და გერმანიის მთავრობის თვალსაზრისს.

german cooperation
DEUTSCHE ZUSAMMENARBEIT

UNDP